საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

N 892017009445-06 (06.11.2017)

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.892017009445; 24 ოქტ 2017; განმცხადებელი: შპს 'S-ინვესტი', მისამართი: . განცხადებით მოთხოვნილია უძრავი ნივთების გაერთიანების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, მდებარე ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი, [ზონა: თბილისი, სექტორი: კრწანისი]

განცხადებაზე დამატებით წარმოდგენილია:

ბესიკ ოქროპირიძემ /01007007444/ დამატებით წარმოადგინა განცხადება;
საკადასტრო აზომვითი ნახაზი (2);
ელ.ვერსია;

I. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები
1.1. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია უძრავი ნივთების გაერთიანების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. არ არის წარმოდგენილი არქიტექტურის სამსახურის თანხმობა გაერთიანების განხორციელების თაობაზე, აგრეთვე მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით გასაერთიანებელი ნაკვეთი არ ემთხვევა რეგისტრირებული ნაკვეთის კონტურს. (იხ. სიტუაციური ნახაზი)

II. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სამართლებრივი დასაბუთება
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.
-,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად

III. დასკვნა
გაერთიანების რეგისტრაციისთვის არქიტექტურის სამსახურიდან წარმოსადგენია თანხმობა გაერთიანების თაობაზე, აგრეთვე წარმოსადგენია კორექტირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

შეჩერების საფუძველი არ აღმოიფხვრა.
დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენა დასაშვებია 30 ნოე 2017 -მდე.